საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

მიგრანტი

№14 / 2016



რამინ გვარიშვილი

„ინტელექტი“ ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს იურიდიულ დახმარებას სთავაზობს

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს იურიდიულ კონსულტაციებსა და სამართლებრივ დახმარებას სთავაზობს. იურიდიული კონსულტაციების და სამართლებრივი დახმარების მიზანია ხელი შეუწყოს ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების რეალიზაციაში, კერძოდ სამართლებრივი მექანიზმების შესახებ მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, რათა მოქალაქეებმა შეძლონ საზღვარგარეთ შრომითი ტრეფიკინგის თავიდან აცილება და საკუთარი უფლებების დაცვა.

პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში მიგრანტებს იურიდიულ კონსულტაციებსა და სამართლებრივ დახმარებას უწევს რამინ გვარიშვილი. ის აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მიგრანტებს ადგილზე სტუმრობს, მათ პრობლემებს ეცნობა და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს.

რა პრობლემები აწუხებთ აჭარის რეგიონში მცხოვრებ მიგრანტებს და რა სახის იურიდიული დახმარება სჭირდებათ მათ? ამ საკითხებზე რამინ გვარიშვილი გვესაუბრა:

– სამართლებრივი დაცვის კომპონენტი უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფებისა და ბენეფიციართა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციას, ასევე თურქეთში დასაქმებული მიგრანტების დაცულობის ხარისხს, რაც შეამცირებს შრომითი ტრეფიკინგის შემთხვევებს.

– ძირითადად რა საკითხებზე მოგმართავენ, რა ტიპის იურიდიული პრობლემები აქვთ აჭარის რეგიონში მცხოვრებ მიგრანტებს?

– პროექტის ფარგლებში იურიდიული კონსულტაცია გაეწია 76 მოქალაქეს, ხოლო იურიდიული დახმარებით 5-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. დებულების თანახმად იურიდიულ დახმარებას ვუწევთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც არიან შრომითი ან ეკომიგრანტები. მინდა აღვნიშნო, რომ სამ ბენეფიციარს სამართლებრივი დახმარების კუთხით, ეკომიგრანტის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოვუმზადეთ განცხადებები, რომლებიც წარდგენილია აჭარის არ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტში და განხილვის ეტაპზეა. რაც შეეხება კონსულტაციის სფეროს, კონსულტაციები ტარდება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თუმა შეუზღუდავია. ამ კუთხით უფრო ყოფითი საკითხები განვიხილეთ, კერძოდ სამეზობლო დავებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, მრავალშვილიან ოჯახზე სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით, საბანკო და ონლაინსესხებთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

– ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტები რამდენად ფლობენ საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებს?

– მიგრანტები უცხოეთში სამუშაოდ ტურისტული გზით გადადიან და იქ არალეგალურად საქმდებიან, რა თქმა უნდა, მათ ესმით ამ რისკის შესახებ, მაგრამ ეს გზა მათთვის უფრო მარტივია და ამიტომაც ირჩევენ. საზღვარზე გადასვლისას მათ აძლევენ საინფორმაციო სახის ბროშურას, სადაც მოცემულია თურქეთში საქართველოს საკონსულოს საკონტაქტო ინფორმაცია და პრობლემის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ.

პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმაც“ მოამზადა საინფორმაციო დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მოკლე ინფორმაცია შრომითი ტრეფიკინგის შემთხვევაში საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, თურქეთის სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების – პოლიციის, სასწრაფო და სამაშველო სამსახურების, ტრეფიკინგთან ბრძოლის სამსახურის, თურქეთში მოქმედი უფლებადამცველი ორგანიზაციების, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების მისამართები, საკონტაქტო მონაცემები და შრომითი მიგრანტებისათვის სხვა საჭირო ინფორმაცია.

– რა უნდა იცოდეს უცხოეთში წასულმა მიგრანტმა და როგორ უნდა დაიცვას თავი, რომ არ გახდეს შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლი?

– პირველ რიგში, ვურჩევდით, რომ სამუშაოდ წასული ყველა მიგრანტი შრომითი ვიზის საშუალებით შევიდეს მეზობელ სახელმწიფოში, რადგანაც დავის წარმოშობის შემთხვევაში ამ კუთხით უფრო მეტად შეძლებს იქაურ სამართალდამცავ ორგანოში საკუთარი უფლებების დაცვას. ასევე ვურჩევთ, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია ყოველთვის ჰქონდეთ თან. ხშირად ხდება, რომ დამსაქმებელი იტოვებს პირადობის მოწმობას, სამუშაოს დასრულებამდე წასვლის უფლებას არ აძლევს და შემდეგ ანაზღაურებას ნაკლებს უხდის. ასეთი შემთხვევის დროს ვურჩევთ, მიმართონ ადგილობრივ მუფთს და მისი დახმარებით შეეცადონ გამომუშავებული თანხის მიღებას. თუ ამ გზითაც არ მოხერხდა, ინფორმაცია მიანდონ სამართალდამცავ ორგანოებს. ბუნებრივია ამ შემთხვევაში მიგრანტს დაეკისრება „დეპორტი“, მაგრამ არც დამსაქმებელი არ დარჩება „მოგებული“ . თურქეთის რესპუბლიკაში არალეგალების დასაქმება კანონით აკრძალულია და ამ შემთხვევაში დამსაქმებელი აუცილებლად დაჯარიმდება.

P.S. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში, მოიწვევს თურქეთში მოღვაწე კვალიფიციურ იურისტს, ადგილობრივი იურისტებისა და პროექტში ჩართული თანამშრომლების თურქეთის კანონმდებლობასა და ლეგალური მიგრაციის საკითხებში გაცნობის მიზნით. ისინი აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის 63 თემში და მიგრანტთა სტიქიური დასახლების ადგილებში (6 დასახლება), სოციალურ სახლებში ჩაატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს თემების იმ მოსახლეობასთან, რომლებიც რეგულარულად დადიან ან აპირებენ ახლო მომავალში თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ გამგზავრებას.

წარმატებული ბენეფიციარი

ჯონდიტერი თეა ნუცუბიძე

ქალბატონი, ვის შესახებაც მე დღეს მინდა გესაუბროთ, 42 წლის შრომითი მიგრანტი თეა ნუცუბიძეა. ის ოჯახთან ერთად 13 წელი ცხოვრობდა საბერძნეთში, ქალაქ ათენში. მუშაობდა მუხლჩაუხრელად, რათა გარკვეული რაოდენობის თანხა შეეგროვებინა და საქართველოში დაბრუნებულს საკუთარი საკონდიტრო გაეხსნა.

თეა საზღვარგარეთ წასვლამდე მამიდასთან ერთად ბათუმში, ჯინჭარაძის ქუჩაზე მდებარე საკონდიტროში მუშაობდა. მცირე შემოსავლის გამო გადაწყვიტა უცხოეთში გამგზავრება. ამ ნაბიჯის გადადგმაში მას საზღვარგარეთ მყოფი ნათესავები დაეხმარნენ, სიცილ-კისკისით მითხრა ნასვლისას ნაფიქრი ოცნება: „მეგონა, იქ ფული „პაერიდან“ ცვიოდა, „მოვხვეტავდი“, დავბრუნდებოდი და საკუთარ საკონდიტროს გავხსნიდიო“.

პირველად მარტო წავიდა, ერთ-ერთ ოჯახში დამლაგებლად მუშაობდა, სადაც დღიურად უხდიდნენ და მისი შემოსავალი თვეში 430 ევროს შეადგენდა. ამბობს, რომ თავიდან ეს თანხა სოლიდური ეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ უცხოეთში დასაქმებით მხოლოდ საქართველოში დარჩენილი ოჯახის რჩენას ახერხებდა და მცირედი თუ რჩებოდა დანაზოგის სახით.

საქართველოში დაბრუნებას ყოველ წელს გეგმავდა და ქვეყანაში დასაქმებისთვის პერსპექტივებს ეძებდა. უცხოეთიდან ნამოსულ ქართველებს ეხმიანებოდა და აქაურ ამბებს ეკითხებოდა.

„ერთ დღესაც აქაურმა მეზობელმა ჯემალ დადიანმა მითხრა, რომ ბათუმში არის ორგანიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, რომელიც პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში აჭარაში მცხოვრებ მიგრანტებს ეხმარება, მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტებს გასცემს და შეგიძლია მათი დახმარებით გახსნა საკონდიტროო. ცოტა იმედი მომეცა, თანაც საქართველოში დაბრუნების სურვილი ძალიან დიდი იყო და წამოვედი,“ – იხსენებს თეა ნუცუბიძე. მას სახე სასიამოვნო ღიმილით ეკვსება, როცა „ინტელექტის“ თანამშრომლებთან შეხვედრას იხსენებს: „ძალიან კარგად შეგვხვდნენ... გაანცხადის შევსებიდან სამ დღეში დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ პირველი ეტაპი წარმატებით გავიარეთ. შემდეგ მეორე ეტაპისთვის დავინყეთ მზადება. დავდიოდით ტრენინგებზე, სადაც გვასწავლიდნენ ბიზნესგეგმის დაწერას და შედეგიც სახეზეა: საკონდიტრო გავხსენით.“

თეას მოლოდინი გამართლდა, მისი ბიზნესიდეა დაფინანსდა: „გამიმართლა, რომ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ჩავერთე. ამ ორგანიზაციის დახმარებით ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა – საკონდიტროც გავხსენი და ამ სფეროში ცოდნაც გავიღრმავე. ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში – „ახალ ტალღაში“ „ინტელექტის“ დაფინანსებით კონდიტერის სპეციალობის 300-საათიანი კურსი გავიარე.“

25 კვ.მ ოთახი დიზაინერის გათვლით მოუწყვიათ, სამი მცირე ზომის

თეა ნუცუბიძე

მაგიდა სამ-სამი სკამით, ორი მაცივარი, პატარა გაზი, იქვე პატარა სამზარეულო... მოკლედ რამდენი რამ დატეულა ამ „ერთისახე“ ოთახში. კარის შეღებისთანავე თვალში მაცივარში განლაგებულ მრავალნაირი ნამცხვრების ფერთა გამა მოგხვდება, აქ შეგიძლიათ დაგეგმოვნოთ ნატურალურ პროდუქტზე დამზადებული ტკბილეული: ჩაროზი, ბაუნტი, ხილის ტორტი, კრუასანები, ჩეხური ბაღლავა, ყაყის ნამცხვარი, იდეალი ...

ზაფხულის სეზონის მუშაობით კმაყოფილი თეა შემოგდომის დადგომასაც მოუთმენლად ელის, რადგან გამოცდილებით ახსოვს, რომ სექტემბრიდან საქორწინო ტორტების შეკვეთებსაც უხვად მიიღებს.

თეა ნუცუბიძე ემიგრაციაში წასვლას აღარ აპირებს: „შეიძლება „მილიონერი“ ვერ გავხდე, მაგრამ ოჯახს აღარ დავტოვებ, ყველაფერი კარგად მიდის, იმედი მაქვს, მალე გავაფართოვებ ჩემს საკონდიტროს“. ის მიგრანტებს მოუწოდებს, რომ თუ აქვთ იდეა, აუცილებლად იბრძოლონ მისი განხორციელებისთვის, ჩაერთონ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, დარჩნენ საქართველოში და დაიწყონ ბიზნესი.

P.S. თეა ნუცუბიძის საკონდიტრო „ჩაროზი“ ქობულეთში, რუსთაველის N162 მდებარობს. სახელი ძველი ქართული წარმოშობისაა და ტკბილეულს ნიშნავს. საკონდიტრო დილით 09:30 იხსნება და 24:00 საათამდე მუშაობს. წინასწარი შეკვეთა შესაძლებელია ტელეფონითაც ნომერზე: (0 422) 26 22 52.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ თეა ნუცუბიძეს წარმატებებს უსურვებს.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის №18
ტელ: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50; მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge;
ვებგვერდი: www.intellect.org.ge